N534/11
13.09.18

შპს „MAXNET“-ის (ს/კ 439393390) მიერ შპს „ბლექსინეტის“ (ს/კ 412725056) წილის 100%-ის შეძენაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში „კომისია”) აღნიშნავს, რომ კომისიას ერთობლივი განცხადებით მიმართეს შპს „MAXNET“-მა (ს/კ 439393390) და შპს „ბლექსინეტმა“ (ს/კ 412725056), (განცხადების კომისიაში რეგისტრაციის №6/4342-18 03.09.2018), შპს „MAXNET“-ის (ს/კ 439393390) მიერ შპს „ბლექსინეტის“ (ს/კ 412725056) წილის 100%-ის შეძენაზე, კომისიისაგან წინასწარი თანხმობის მიღების მოთხოვნით.

“ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შერწყმის ან წილის, აქციების ან საოპერაციო აქტივის შეძენის განზრახვის შესახებ კომისიას უნდა ეცნობოს შეძენის განხორციელებამდე. შეტყობინების ვალდებულება ეკისრება ავტორიზებულ პირს, რომელიც მონაწილეობს შერწყმაში, ან რომლის წილის, აქციების, ან საოპერაციო აქტივის შეძენაც ხდება.

“ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, კომისია უფლებამოსილია შერწყმის ან შეძენის თაობაზე ავტორიზებული პირის სრულყოფილი შეტყობინების მიღებიდან 15 დღის ვადაში გასცეს თანხმობა შერწყმაზე ან შეძენაზე ან ბაზრის შესაბამის სეგმენტზე არსებულ კონკურენციაზე შესაძლო გავლენის მოხდენის დადგენის მიზნით მიიღოს გადაწყვეტილება შერწყმის ან შეძენის გამოკვლევის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

შპს „MAXNET“-ი (ს/კ 439393390) და შპს „ბლექსინეტი“ (ს/კ 412725056) წარმოადგენენ ელექტრონულ საკომუნიკაციო სფეროში ავტორიზებულ პირებს.

შპს „MAXNET“-ს (ს/კ 439393390) ავტორიზაცია გავლილი აქვს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების შემდეგ სახეებზე:

A.F.1. ადგილობრივი დაშვების (სადენიანი) ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა

კოაქსიალური (საკაბელო) ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

კოაქსიალური (საკაბელო) ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის ტერმინალური საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

A.F.2. ადგილობრივი დაშვების (უსადენო) ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა

რადიოსიხშირული, ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის შესაბამისი ელემენტებისა და საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

B.F.2. ინტერნეტ მომსახურება

WiFi

B.F.4. მაუწყებლობის ტრანზიტი

ტელემაუწყებლობის ტრანზიტი

შპს „ბლექსინეტს“ (ს/კ 412725056) ავტორიზაცია გავლილი აქვს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების შემდეგ სახეებზე:

A.F.2 ადგილობრივი დაშვების (უსადენო) ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა

რადიოსიხშირული, ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის შესაბამისი ელემენტებისა და საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

A.F.3 ძირითადი საკომუტაციო ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა

პაკეტური საკომუტაციო საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

B.F.2 ინტერნეტ მომსახურება

WiFi

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის თანახმად:

შპს „MAXNET“-ის (ს/კ 439393390) წილის 100%-ის მფლობელია შპს „ნეტფლექსი“. შპს „MAXNET“-ის (ს/კ 439393390) დირექტორია პაატა შამუგია. შპს „ნეტფლექსის“ წილის 100%-ის მფლობელი და დირექტორია ლევან გაბუნია.

შპს „ნეტფლექსი“ წილის 100%-ს ფლობს შპს „YOURNET“ -ში და წილის 96%-ს შპს „Niknet“-ში. შპს „YOURNET“-ის და შპს „Niknet“-ის დირექტორია არჩილ ხოჯაშვილი, რომელიც ასევე არის შპს „სქაიტელის“ (ს/კ 400013748) და შპს „GALAXY GEORGIA” -ს (ს/კ 425358383) დირექტორი.

შპს „სქაიტელი“ წილის 100%-ს ფლობს შპს „GALAXY GEORGIA”-ში.

შპს „MAXNET“ (ს/კ 439393390) წილის 100%-ს მფლობს შპს „ფრინეტში“, რომლის დირექტორია თეიმურაზ სარდაროვი.

შესაბამისად, შპს „MAXNET“-თან აფილირებული ავტორიზებული პირები არიან: შპს „YOURNET“ (ს/კ 438108398), შპს „სქაიტელი“ (ს/კ 400013748) და შპს „Niknet“ (ს/კ 406083508), შპს „ფრინეტი“ (ს/კ431166793) და შპს „GALAXY GEORGIA“.

შპს „ბლექსინეტის“ (ს/კ 412725056) წილის 60%-ის მფლობელია ფიზიკური პირი ჯუმბერ ჯიმშელეიშვილი და წილის 40%-ის მფლობელია ფიზიკური პირი ამირბეჰშად ტორაბიანი.

შპს „MAXNET“ (ს/კ 439393390), შპს „ბლექსინეტის“ (ს/კ 412725056), ასევე შპს „MAXNET“-თან აფილირებული ავტორიზებული პირები ახორციელებენ ფიქსირებულ საცალო ინტერნეტ მომსახურებას WiFi ტექნოლოგიის გამოყენებით.

კომისიის საერთო სტატისტიკური ბაზის მონაცემების თანახმად, ფიქსირებული საცალო ინტერნეტ აბონენტების რაოდენობამ 2018 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით კომპანიების მიხედვით შეადგინა:

შპს „MAXNET“ – 6039 აბონენტი;
შპს „ფრინეტი“ – 3153 აბონენტი;
შპს „YOURNET“ – 1890 აბონენტი;
შპს „სქაიტელი“ – 9107 აბონენტი;
შპს „Niknet“ – 981 აბონენტი;
შპს „ნეტფლექსი“ – 683 აბონენტი;
შპს „ბლექსინეტი“ – 640 აბონენტი;
შპს „GALAXY GEORGIA - 700 აბონენტი.

ხოლო მუნიციპალიტეტების ჭრილში ზემოაღნიშნული კომპანიების კუთვნილი ინტერნეტ აბონენტების რაოდენობის ხვედრითი წილი შესაბამის მუნიციპალიტეტში არსებულ ინტერნეტ მომხმარებლების საერთო ოდენობასთან მიმართებაში შემდეგია:

	GALAXY GEORGIA	MAXNET	Netflex ნეტფლექსი	niknet	YOURNET	ბლექსინეტი	სქაიტელი	ფრინეტი
აბაშის რაიონი							14.29%	
ადიგენის რაიონი							35.56%	
ამბროლაურის რაიონი		47.42 %					0.22%	
ასპინძის რაიონი		0.00%					3.77%	
ახალგორის რაიონი	43.27%						56.73%	
ახალციხის რაიონი					0.27%		0.41%	
ახმეტის რაიონი					1.32%		0.73%	9.27%

ბათუმი						0.38%	0.01%	
ბაღდათის რაიონი		3.23%					0.55%	
ბოლნისის რაიონი	1.65%						0.07%	
ბორჯომის რაიონი							15.13%	
გალის რაიონი							100.00%	
გარდაბნის რაიონი					0.66%		8.37%	
გორის რაიონი							0.05%	
გურჯაანის რაიონი					2.38%		3.67%	1.57%
დედოფლისწყაროს რაიონი					21.18%			0.04%
დმანისის რაიონი							10.98%	
დუშეთის რაიონი			4.82%				17.68%	
ვანის რაიონი		1.16%					4.72%	
ზესტაფონის რაიონი		38.60 %						
ზუგდიდის რაიონი							15.42%	
თბილისი				0.10 %			0.49%	
თეთრი წყაროს რაიონი	2.83%						14.74%	
თელავის რაიონი							0.33%	9.41%
თერჯოლის რაიონი		53.53 %						
თიანეთის რაიონი							14.89%	
კასპის რაიონი							6.67%	
ლაგოდეხის რაიონი							0.50%	0.34%
ლანჩხუთის რაიონი							0.73%	
მარნეულის რაიონი	3.06%				0.05%		0.08%	
მარტვილის რაიონი								
მცხეთის რაიონი							0.71%	
ოზურგეთის რაიონი		5.26%						
ონის რაიონი		99.63 %						
რუსთავი							0.04%	
საგარეჯოს რაიონი					12.83%			
სამტრედიის რაიონი		0.03%					0.02%	
საჩხერის რაიონი		39.46 %					0.22%	
სენაკის რაიონი							2.31%	
სიღნაღის რაიონი					4.99%		5.06%	0.03%
სტეფანწმინდის რაიონი			22.80%		0.00%		7.48%	
ტყიბულის რაიონი		37.71 %						
ქედის რაიონი							4.55%	
ქუთაისი		0.14%					0.18%	
ყვარლის რაიონი							0.26%	5.00%
შუახევის რაიონი							100.00%	
წალენჯიხის რაიონი							61.30%	
წყალტუბოს რაიონი		13.70 %					0.08%	
ჭიათურის რაიონი		26.44					0.20%	

		%						
ხაშურის რაიონი				3.12 %			0.01%	
ხელვაჩაურის რაიონი						12.34%	0.32%	
ხობის რაიონი							3.60%	
ხონის რაიონი		0.14%						

არსებული მონაცემებიდან გამომდინარე, შპს „MAXNET“-ის (ს/კ 439393390) მიერ შპს „ბლექსინეტის“ (ს/კ 412725056) წილის 100%-ის შეძენა, ბაზრის შესაბამის სეგმენტზე მნიშვნელოვან გავლენას ვერ იქონიებს და აღნიშნული ტრანზაქცია შეიძლება მიჩნეულ იქნეს თავსებადად ელექტრონულ საკომუნიკაციო ბაზარზე არსებულ კონკურენტულ გარემოსთან.

შესაბამისად, კომისიამ მიიჩნია, რომ არ არსებობს შპს „MAXNET“-ის (ს/კ 439393390) მიერ შპს „ბლექსინეტის“ (ს/კ 412725056) წილის 100%-ის შეძენაზე თანხმობის მიცემის დამაბრკოლებელი გარემოებები.

“ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე, 26-ე და 27-ე მუხლების შესაბამისად, კომისიამ კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მიეცეს თანხმობა შპს „ბლექსინეტს“ (ს/კ 412725056), შპს „ბლექსინეტის“ (ს/კ 412725056) წილის 100%-ის შპს „MAXNET“-ის (ს/კ 439393390) მიერ შეძენაზე;
2. განემარტოს შპს „ბლექსინეტს“ (ს/კ 412725056), რომ ამ გადაწყვეტილების შესაბამისად, წილის მფლობელის ცვლილების შემთხვევაში, შპს „ბლექსინეტი“ (ს/კ 412725056) ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე კომისიას აცნობოს ცვლილების განხორციელებიდან 7 სამუშაო დღის ვადაში;
3. დაევალოს კომისიის ადმინისტრაციას ამ გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის შპს „ბლექსინეტსათვის“ გაგზავნა (ნ. ჯავახიძე);
4. გადაწყვეტილება ძალაში შედის გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის შპს „ბლექსინეტსათვის“ (ს/კ 412725056) ჩაბარების დღიდან;
5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი, ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6), შპს „ბლექსინეტსათვის“ (ს/კ 412725056), ამ გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში;
6. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის სატელეკომუნიკაციო ბაზრის რეგულირების დეპარტამენტს (დ. გოგიჩაიშვილი).

კომისიის თავმჯდომარე	**კახი ბექაური**
კომისიის წევრი	**ვახტანგ აბაშიძე**
კომისიის წევრი	**ელისო ასანიძე**
კომისიის წევრი	**გიორგი ფრუიძე**
კომისიის წევრი	**მერაბ ქათამაძე**